

დამტკიცებულია შპს ცხუმ-ეგრისის დირექტორის

N 01-03 15.02.2023 წლის ბრძანებით



შპს ცხუმ-ეგრისის

შრომის უსაფრთხოების სამოქმედო გეგმა

## შრომის უსაფრთხოების სამოქმედო გეგმა

### 1. შესავალი

შპს კოლეჯი ცხუმ- ეგრისის შრომის უსაფრთხოების გეგმა შემუშავებულია სამუშაო სივრცეში უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფისათვის, რომელიც ეფუძნება საქართველოს კონონმდებლობას და კოლეჯის შრომის უსაფრთხოების პოლიტიკას.

შრომის უსაფრთხოების გეგმა მოიცავს შემდეგ პროცედურებსა და ინფორმაციას:

1. კოლეჯში შესახებ ინფორმაციას ინფორმაცია:
2. კოლეჯის შესახებ მენეჯმენტის ფუნქცია-მოვალეობები და სტრუქტურა:
3. რისკების შეფასება და მართვა:
4. პერსონალის სწავლება:
5. უბედური შემთხვევების მოკვლევა:
6. პროფესიული დაავადებების პრევენცია და მოკვლევა:
7. საგანგებო სიტუაციები და ევაკუაცია:
8. მონიტორინგი და კონტროლი:
9. შრომის უსაფრთხოების ღონისძიებების ერთწლიანი გეგმა:
10. პასუხისმგებლობა, ფუნქცია მოვალეობების გადანაწილების ცხრილი:
11. დანართები:

### 2. კოლეჯის შესახებ ინფორმაცია:

კოლეჯის დასახელება	შპს ცხუმ- ეგრისი“
საიდენტიფიკაციო ნომერი	220377759
მისამართი	ზუგდიდი, კოსტავას ქ. 32
დირექტორი	გელა მამფორია
დირექტორის ტელეფონის ნომერი	577433070
შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი	მთე ჩხაპელია
შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ტელეფონის ნომერი	593465713
კოლეჯის საქმიანობის სფერო/ეკონომიკური საქმიანობის სახე, კოდი	საგანმანათლებლო დაწესებულება

### 3. მენეჯმენტის ფუნქცია-მოვალეობები და სტრუქტურა

დირექტორი:

შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის დირექტორი:

- უზრუნველყოფს წინამდებარე შრომის უსაფრთხოების გეგმას კოლეჯის ყველა თანამშრომლამდე დაყვანას.
- გეგმავს და აკონტროლებს უსაფრთხოებისათან დაკავშირებულ ძირითად ღონისძიებებს.

- უზრუნველყოფს შრომის კოდექსითა და შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონით დამსაქმებლისთვის წაყენებული მოთხოვნების დაცვას.
- ამტკიცებს ინსტრუქციებსა და სხვა დოკუმენტებს.
- ახორციელებს რისკების საერთო მენეჯმენტს.
- აკონტროლებს კოლეჯის-თანამშრომელთა მხრიდან დისციპლინის დაცვას.
- უზრუნველყოფს შესაბამისი სამუშაოებისათვის საჭირო ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით მუშა- მოსამსახურეთა აღჭურვას.
- საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების და სხვა დამცავი საშუალებების შეცვლას.
- უზრუნველყოფს პირველადი დახმარების საშუალებებით აღჭურვას
- შ.პ.ს კოლეჯი ცხუმე ეგრისი-ბიუჯეტი ითვალისწინებს სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოებასთან და სანიტარიულ-ჰიგიენურ ღონისძიებებთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს.
- უზრუნველყოფს პერსონალისთვის სავალდებულო ტრენინგების ჩატარებას.
- სამუშაო პროცესში პერსონალისათვის ზიანის მიყენების შემთხვევაში უზრუნველყოფს ზიანის აღმოფხვრას.

#### კოლეჯში დასაქმებული პერსონალი და მათი ფუნქცია-მოვალეულობები:

##### შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი:

1. ახორციელებს კოლეჯის პერსონალის მიერ უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვის კონტროლს.
2. შპს კოლეჯი ცხუმე ეგრისის თანამშრომლებისათვის შეიმუშავებს და გასცემს რეკომენდაციებს შრომის უსაფრთხოების შესახებ.
3. მონაწილეობს საფრთხეების იდენტიფიცირებასა და რისკების შეფასებაში.
4. მონაწილეობს სამუშაო სივრცეში ინციდენტების რეგისტრაციას, მოკვლევას და ინციდენტების გამომწვევი მიზეზების დადგენას და შესაბამისი ზომების მიღებისათვის რეკომენდაციებისა და მითითებების შემუშავებას.
5. მონაწილეობს :მაფრთხილებელი, შეზღუდვისა და აკრძალვის ნიშნების განთავსების ღონისძიებებში.
6. უზრუნველყოფს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ადგილმდებარეობებისა და სწორად გამოყენების წესის ცოდნის კონტროლს.
7. უზრუნველყოფს კოლეჯის შრომის უსაფრთხოების შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების პერიოდული განახლებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8. ახორციელებს კანონმდებლობით სავალდებულო ტრენინგების ორგანიზებასა და დოკუმენტირებას.
9. ამზადებს და წარადგენს შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, კოლეჯის ხელმძღვანელების მიერ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას.
10. ზრუნავს საფრთხის შემცველი ფაქტორების აღმოფხვრასა და შემცირებაზე.
11. ახორციელებს კოლეჯის შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის მონიტორინგს.
12. მონაწილეობს ინციდენტების მოკვლევის ოქმის შედგენის პროცედურებში

#### 5. რისკების შეფასება და მართვა

კოლეჯი განახორციელებს სასწავლებელში არსებული რისკების საერთო შეფასებას, როგორც წესი კანონის შესაბამისდ მინიმუმ სამ თვეში ერთხელ. რისკების საერთო შეფასება ასევე მოხდება წარმოებაში არსებული სამუშაო გარემოს, ტექნოლოგიის ცვლილების, უსაფრთხოების ახალი მოთხოვნებისა და ნერგვის შემთხვევაშიც.

რისკების შეფასებისას მოხდება, როგორც კონტროლის მიმდინარე ღონისძიებების გაწერა, ასევე შემდგომში განსახორციელებელი/გასაუმჯობესებელი ღონისძიებების განსაზღვრა, ნარჩენი რისკები განსაზღვრა.

სამუშაოთა უმეტესობის შემთხვევაში ხდება ზოგადი რისკების თვისობრივი შეფასება. რისკების შეფასებას ხელმძღვანელობს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი მოცემულ საქმიანობაზე პასუხისმგებელი სათანადო ხელმძღვანელი პირის და საჭიროების შემთხვევაში მოწვეული სპეციალისტის დახმარებით.

#### **6. რისკის შეფასების პროცესი განსაზღვრავს:**

1. რა არის საფრთხე?
2. ქმნის თუ არა საფრთხე რისკს?
3. რამდენად მნიშვნელოვანია ეს რისკი?
4. დასაშვებია თუ არა რისკი?

თუ დაუშვებელია რისკის დონე, კონტროლის რა ზომების მიღება შეიძლება მის დასაშვებ დონემდე შესამცირებლად.

მომეტებული საფრთხის აღმოჩენის ან რისკის მაღალი დონის შემთხვევაში სამუშაო პროცესი არ დაიწყება შესაბამის კონტროლის პროცედურების განხორციელებამდე - საფრთხის აღმოფხვრამდე ან რისკის მინიმალურ დონეზე დაყვანამდე.

ბრძანება №01-15/ნ რისკების მშეფასების ფორმის გათვალისწინებით. განხორციელდეს რისკების შეფასება მთავრობის დადგენილების №80 06-02-2020 წლის მუხლი 6. ე-ქვეპუნქტის შესაბამისად ყოველ სამ თვეში ერთხელ.

#### **7. პერსონალის სწავლება**

**შპს კოლეჯი ცხუმ- ეგრისის** ადმინისტრაცია სამუშაოზე დაუშვებს მხოლოდ მომზადებულ, კომპეტენტურ პერსონალს, რომელთა მომზადება განხორციელდება, როგორც საერთო უსაფრთხოების წესებში, ასევე კონკრეტული სამუშაო პროცედურების უსაფრთხოების საკითხებში.

სამუშაო სივრცეში, სასწავლო პროცესში, შესასრულებელი სამუშაოს ტიპის ან ფორმის ცვლილების შემთხვევაში მოხდება პერსონალის შესაბამისი გადამზადება.

#### **7. ტრენინგების და ინსტრუქტაჟები ჩამონათვალი:**

1. დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები და უსაფრთხო შრომის პრინციპები - წელიწადში ორჯერ;
2. სახანძრო უსაფრთხოება - წელიწადში ორჯერ
3. პირველადი დახმარება-წელიწადში ორჯერ
4. ელექტრო უსაფრთხოება-წელიწადში ორჯერ
5. ერგონომიკა და კომპიუტერთან მუშაობის -წელიწადში ორჯერ
6. ჰიგიენა და დასუფთავება წელიწადში ორჯერ
7. ინფექციურ და სამედიცინო საკითხებში წელისადში ორჯერ
8. ინდივიდუალურ დაცვის საშუალებებზე წელიწადში ორჯერ

#### **8. უბედური შემთხვევის მოკვლევა:**

კოლეჯის უბედური შემთხვევის მოკვლევის მიზანია ინციდენტის გამომწვევი მიზეზების დადგენა, უბედური შემთხვევების პრევენცია. მოკვლევის მიზანი არ არის დამნაშავე პირის გამოვლენა და დასჯა.

უბედური შემთხვევის მოკვლევის მიზნით, კოლეჯი ქმნის უბედური შემთხვევის მოკვლევის კომისიას ინციდენტიდან **24 საათში**. კომისიის შემადგენლობაში შედიან:

1. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი
2. კოლეჯის დირექტორი ან ადმინისტრაციის სხვა წევრები სხვა წარმომადგენელი,
3. დასაქმებულთა წარმომადგენელი შრომის უსაფრთხოების საკითხებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ასევე კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა პირი.

შრომის უსაფრთხოების მენეჯერი და მოკვლევის კომისია ინციდენტის შემთხვევაში განახორციელებს შემდეგ პროცედურებს:

#### **უბედური შემთხვევის მოკვლევის კომისია:**

1. თვითმხილველთა გამოკითხვა;
2. კომპნაის თანამშრომელთა ინფორმაციის შესწავლა;
3. ფოტომასალის, სქემების, გეგმების და სხვა მტკიცებულებების შესწავლა;
4. საწარმოო გარემოს პირობების ანალიზი;
5. უბედური შემთხვევის გამომწვევი ფაქტორების დადგენა;
6. გასატარებელი ღონისძიებების განსაზღვრა;
7. უბედური შემთხვევის მოკვლევის ოქმის გაფორმება;

#### **9. პროფესიული დაავადებების პრევენცია და მოკვლევა**

**შ.პ.ს კოლეჯი ცხუმ -ეგრის“-ის** ადმინისტრაცია პროფესიული დაავადებების პრევენციის მიზნით:

1. უზრუნველყოფს კოლეჯის აღჭურვას შესაბამისი კოლექტიური დაცვის საშუალებებით;
1. უზრუნველყოფს პერსონალის შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით აღჭურვას;
2. უზრუნველყოფს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სისუფთავესა და ტექნიკური გამართულობას;
3. კომპანია უზრუნველყოფს გარემოს ფიზიკური და ქიმიური ფაქტორების შემოწმებას;
4. მუდმივად იზრუნებს საფრთხის შემცველი ფაქტორების შემცირებასა და აღმოფხვრაზე და ამისათვის გაატარებს შესაბამის ღონისძიებებს;
5. მწვავე პროფესიულ დაავადებაზე გონივრული ეჭვის მიტანის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ გადაიყვანს დასაქმებულს სამედიცინო დაწესებულებაში.

მწვავე ან ქრონიკულ პროფესიულ დაავადებაზე გონივრული ეჭვის მიტანის შემთხვევაში, შესაძლო პროფესიული დაავადების გამომწვევი მიზეზების დადგენის მიზნით კოლეჯის დირექტორი შექმნის პროფესიული დაავადების მოკვლევის ჯგუფს ან/და მოიწვევს შესაბამისი დარგის სპეციალისტებს:

#### **10. საგანგებო სიტუაციები და ევაკუაცია:**

დასაქმებულების და პროფესიული სტუდენტების სიცოცხლე და ჯამრთელობა არის ყველაზე მთავარი პრიორიტეტი. კოლეჯისთვის და ყველაზე გავრცელებული და ეფექტური მეთოდი არის დასაქმებულების ევაკუაცია. საგანგებო სიტუაციების მზადყოფნისთვის კოლეჯი:

1. განსაზღვრავს პირობებს, როდესაც ევაკუაცია ხდება აუცილებელი;
2. განსაზღვრავს მითითებებისა და ბრძანებების თანმიმდევრობას;
3. განახორციელებს პერსონალის სათანადო სწავლებას;
4. პერსონალს განუსაზღვრავს ევაკუაციის გზებსა და თავშეყრის ადგილს;

5. სათანადოდ თვალსაჩინო ადგილებზე განათავსებს გამაფრთხილებელ ნიშნებს, საავარიო განათებებს (დამუკიდებელი ელ.ენერგიით უზრუნველყოფილი) და საევაკუაციო გეგმებს;
6. ინტენსიურად შეამოწმებს საევაკუაციო გასასვლელებსა და შესაბამის ნიშნებს;
7. დანიშნავს კომპეტენტურ პირს, ვინც განახორციელებს საევაკუაციო ღონისძიებების მართვას.

**ავარიული და საგანგებო სიტუაციებისას:**

1. მოხდება სამუშაო პროცესის გაჩერება;
2. დაუყოვნებლივ მოხდება სამუშაო სივრცის დატოვება საევაკუაციო გეგმის მიხედვით;
3. მოხდება შესაბამის სამსახურების დაუყოვნებლივი ინფორმირება (112)
4. დაზიანებულ პირებს გაეწევათ პირველადი გადაუდებელი დახმარება
5. ტერიტორიაზე აღმოჩენილი გარეშე პირებისთვის, ასევე მათთვის ვინც შესაძლოა არ იცოდნენ საევაკუაციო პროცედურები, მოხდება დახმარების აღმოჩენა - ტერიტორიიდან გაყვანა.
6. ევაკუირებული პირების შეკრება მოხდება საევაკუაციო გეგმით განსაზღვრულ თავშეყრის ადგილზე
7. სახანძრო-სამაშველო სამსახურებს მოსვლისთანავე გადაეცემა საწარმოს გეგმა-ნახაზები და მიეწოდება ყველა საჭირო ინფორმაცია.

**12 . მონიტორინგი და კონტროლი**

**შ.პ.ს პროფესიული კოლეჯი ცხუმ- ეგრისის** ადმინისტრაცია განახორციელებს შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულების მონიტორინგს და კონტროლს. გაანალიზებულია და შესწავლილი ინფორმაციის ხასიათისა და ჩატარების დროის მიხედვით, მონიტორინგი, შესაძლოა იყოს აქტიური (გამაფრთხილებელი) და რეაქციული (საპასუხო).

**13. აქტიურ (გამაფრთხილებელ) მონიტორინგში შედის:**

1. დაკვირვება შრომის უსაფრთხოებასა და ჰიგიენაზე, დასაქმებულთა ჯანმრთელობაზე (პერიოდული სამედიცინო შემოწმების შედეგების მიხედვით), სააწავლო გარემოს უსაფრთხოებაზე;
2. კონკრეტული გეგმების შესრულების, ასევე შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ჩატარებული საქმიანობის შედეგების ანალიზი;
3. სისტემატიური შემოწმებები არსებული პირობების, ჯანმრთელობის დაცვის, შრომის უსაფრთხოებისა სისტემის ფუნქციონირების კუთხით.

**14. რეაქციულ (საპასუხო) მონიტორინგში შედის:**

1. კოლეჯში ინციდენტებისა და პროფესიული დაავადებების კვლევის შედეგების ანალიზი;
2. შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საქმიანობის არადამაკმაყოფილებელი შედეგების, ინსტრუქციების ხარვეზების ანალიზი;
3. უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანალიზი.
4. პერიოდულ კონტროლს განახორციელებს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი

**15. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მიერ პერიოდული შემოწმდება:**

1. სამუშაო ადგილების, სათავსების, საევაკუაციო გასასვლელების მდგომარეობა;
2. ინდივიდუალური და კოლექტიური დაცვის საშუალებების არსებობა და სწორი გამოყენება;
3. შემოწმებების დროს გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად ჩატარებული ღონისძიებებისა და მითითებების შესრულება;
4. პერსონალის მიერ შრომის უსაფრთხოების საერთო მოთხოვნების შესრულება



16. გეგმის დამტკიცება, ცვილებები :

შ.პ.ს კოლეჯი ცხუმ-ვგრისის შრომის უსაფრთხოების გეგმას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.

1. შრომის უსაფრთხოების გეგმას თან ერთვის შრომის უსაფრთხოების ღონისძიებების ერთწლიანი გეგმა.
2. საკანონმდებლო რეგულაციების, ექსპერტების რეკომენდაციების, უსაფრთხოების კუთხით არსებული პრაქტიკის გაანალიზების საფუძველზე, კოლეჯი პერიოდულად განახორციელებს წინამდებარე შრომის უსაფრთხოების გეგმის მოდიფიკაციას.
3. წინამდებარე შრომის უსაფრთხოების გეგმის დანართის - „შრომის უსაფრთხოების ღონისძიებების ერთწლიანი გეგმის“ განახლებული სახით დამტკიცება შემდგომში მოხდება ცალკე.
4. ეს დოკუმენტი ეცნობა კოლეჯის ყველა თანამშრომელს:

17. . დანართები

1. დანართი: № 1 შრომის უსაფრთხოების ღონისძიებების ერთწლიანი გეგმა
2. დანართი № 2 ფუნქცია მოვალეობების გადანაწილება.
3. დანართი: № 3 უბედური შემთხვევის აღრიცხვის ჟურნალი.
4. დანართი: № 4 რისკის შეფასების ფორმა

5. დანართი N 1 შრომის უსაფრთხოების ღონისძიებების ერთწლიანი გეგმა

N	ღონისძიების დასახელება	შესრულების ვადები	პასუხისმგებელი პირი
1	შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი	წელისადმი ორჯერ	შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი
3	კოლეჯში შრომის უსაფრთხოების ტრენინგებზე თანამშრომლების შეკრება მომზადება	წელისადმი ორჯერ	კოლეჯის დირექტორი
4	კოლეჯის დამატებითი გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსება	საჭიროებისამებრ ნებისმიერ დროს	შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი
5	კოლეჯში ინციდენტებისა და უბედური შემთხვევების რეგისტრაციისთან და მოკვლევასთან დაკავშირებული შესაბამისი ჟურნალისა და ფორმების მომზადება	ინციდენტის მოხვედრიდან 24 სთ განმავლობაში	შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი
6	სახანძრო უსაფრთხოება, საგანგებო სიტუაციები, საევაკუაციო ღონისძიებები ინსტრუქტაჟი	წელისადმი ორჯერ	შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი
7	პირველადი დახმარების ინსტრუქტაჟი	წელისადმი ორჯერ	შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი

8	კოლეჯში შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის გაცნობა კომპანის თანამშრომლებზე.	წელიწადში ერთხელ ხოლო ყოველ ახალთანამშრომელზე სამსახურის აყვანისთანავე	შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი
10	ჰიგიანა და დასუფთავება წელიწადში ორჯერ	წელისადში ორჯერ	შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი
13	ელექტრობაზე ინსტრუქტაჟი	წელისადში ორჯერ	შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი
13	კომპიუტერთან მუშაობის წესები ინსტრუქტაჟი	წელისადში ორჯერ	შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი
15	სამედიცინო და ინფექციურ ნარჩენებზე ინსტრუქტაჟი	წელისადში ორჯერ	შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი
16	ინდივიდუალურ დაცვის სასუალებებზე ინსტრუქტაჟი	წელისადში ორჯერ	შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი

დანართი N 2 კოლეჯი შრომის უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებლობა შემდეგნაირად არის განაწილებული:

დავალება	კოლეჯის დირექტორი	შრომის უსაფრთხოების მენეჯერი
ინფორმაციის შეგროვება არსებული რისკების შესახებ.		შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი
საფრთხეების იდენტიფიცირება		შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი
რისკების შეფასება		შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი
რისკების საკონტროლო/ შემცირების ღონისძიებების დაგეგმვა	კოლეჯის დირექტორი	შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი
რისკების შეფასების დოკუმენტირება		შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი
რისკის მართვა	კოლეჯის დირექტორი	შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი
ინსტრუქტაჟების ჩატარების დაგეგმვა, დამტკიცება, ორგანიზება		შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი







